


შეპარდნა-ქეუბი WANTED

ახლა

საქსის

დროა




მერაბ
ქორღანიანი
ციხილან
გარეთ
იყურება,
ახალი მხარე
ხი ციხისთან
გაახლეს



მერაბ ქორღანიანი ფოტოგრაფი



მერაბ ანთაძე გიქინა გეგმის უზიარებლობა



გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე ოფიციალურად დარეგისტრირდა რაგბის კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატად. შესაბამისი დოკუმენტაცია ანთაძის საარჩევნო შტაბმა უკვე აახლა რაგბის კავშირს. 70-80-იან წლებში „ლოკომოტივის“ მორაგბე ოთხმა თბილისურმა კლუბმა — „არმაზმა“, „ხულიგანამ“, „ლელომ“ და „ლოკომოტივმა“ წარადგინეს. ანთაძე რაგბის მხარდამჭერთა ლიგის წევრიცაა. საქართველოს რაგბის კავშირის საპრეზიდენტო არჩევნები 26 იანვარს გაიმართება. კანდიდატი ორია: რაგბის კავშირის ახლანდელი პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე და მერაბ ანთაძე.



მერაბ ქორღანიანი ფოტოგრაფი



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიას ისევ წინასწარ პატიმრობაშია. მისი გათავისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის დევნა შეუწყდა, გუშინ ვერ მოხერხდა. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საპროცესო საკითხების მოგვარება გუშინაც ვერ მოასწრო



მერაბ ჟორდანიას გამოდის, აკაკი ჩხაიძე შედის



აკაკი ჩხაიძის ფოტოები

ჟორდანიას უკვე ქაღალდების ტყვეა, ჩხაიძე დიდი ფულის



მერაბ ჟორდანიას მანქანა პატრონს მთელი დღე ამაოდ ელოდა

— თქვენ ვინმე შეგპირდათ, რომ მერაბ ჟორდანიას წინასწარი პატიმრობიდან პარასკევს გათავისუფლებოდა? — „სარბიელის“ კითხვას კითხვა აქვე შეაგება გენერალური პროკურატორის პირველმა მოადგილემ ვია ჯიქიამ.
— შეპირებით არავინ შეგპირებია, მაგრამ ვარემოებებია ისეთი...
— მესმის, რომ მერაბ ჟორდანიას ფიფას პრეზიდენტთან შეხვედრაზე ეჩქარება, მაგრამ ჩვენც დაგვაცადეთ. პროცესუალური საკითხები ახლა განიხილება. რაღაც არ გაიპაროს, ეს ჟორდანიას ინტერესებშიცაა.
— შესაძლოა, რომ ჟორდანიას უქმე დღეებში გათავისუფლდეს?
— ამის ორგანიზებას შეიძლება, არ არის პრობლემა. მერაბ ჟორდანიას გათავისუფლებას პროკურატურის ბეჭედი და ხელმოწერა აკლია...
— რაც დღეს არ იქნება?
— დღეს არ იქნება.
— თბილისის „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძის დაკავების თაობაზე რას იტყვით?
— აკაკი ჩხაიძე უკვე ეტაპირებულია თბილისში. მას ბრალად

ელემა განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის დატაცება.
— რა სასჯელი ელის აკაკი ჩხაიძეს?
— ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა... ვერჯერობით...
ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან მომლოდინეთათვის მთელი დღის განმავლობაში, არავის არაფერი უცნობებია. „რესპალნიცაში“ შემსუფთვებულ-გამომსუფთვლნი ერთსა და იმავეს კითხულობდნენ — თქვენც მერაბ ჟორდანიას გათავისუფლებას ელით?
ხუთი საათისთვის პროკურატორმა ლაზარე სენიაშვილმა დაგვიდასტურა, რომ შეტყობინება ჟორდანიას გათავისუფლების თაობაზე პროკურატურაშია, თუმცა როცა პატიმრობაში მყოფი მერაბ ჟორდანიას გათავისუფლებაზე პროკურატურის ბეჭედსა და პროკურატორის ხელმოწერას ელოდა, გენერალური პროკურატორის პირველმა მოადგილემ ვიეთხრა — ჟორდანიას დღეს არ გათავისუფლებდა.
ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის რომან შოთაძის თქმით, მერაბ ჟორდანიას მეგობრები პრეზიდენტის გათავისუფლებას ამ უქმეებზევე ეცდებიან.

კობა ინასარიძე

იბდენი და იმისთანები ლომიაზა

ვერც ვიხსენებთ, ბოლოს რუსმა ჟურნალისტებმა რომელ ქართულ ფეხბურთელზე წერეს იბდენი და იმისთანები, რამდენ-როგორც გიორგი ლომიაზა. მოსკოვის „სპარტაკის“ ქართველი მეკარის თურქულ „გალათასარაისთან“ სამი დღის წინანდელი თამაში დღემდე არ ჩამოდის რუსული პრესის ფურცლებიდან. „სპორტ-ექსპრესმა“ ჩვენებური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. ამ გაზეთის დათვლითვე, ლომიაზამ, სულ მცირე, რვაჯერ იხსნა გუნდი გამოუვალი სიტუაციიდან — როგორც ფეხბურთში იტყვიან, აუღებელი აიღო. გიორგის სპარტაკულ დებიუტზე კომენტარი მწვრთნელ ნევიო სკალასაც სთხოვეს:
— ლომიაზამ მართლაც კარგად ითამაშა. ახლა გუნდში ორი მაღალი დონის მეკარე გვყავს. შანსი, ცხადია, ორივეს ექნება.
„გალათასარაისთან“ მატჩი ლომიაზისთვის მთლად იბდლიანიც არ ყოფილა. ქართველმა მეკარემ კუნთი დაიჭიმა და გუშინ მხარმტკივან პოლონელ კოლეგა კოვალევსკისთან ერთად მხოლოდ ივარჯიშა. „სპარტაკმა“ კი წუხელ ჩვენებურის გარეშეც დაამარცხა გერმანული „კაიზერსლაუტერნი“ და ანთალიურ ტურნირში მესამე ადგილი დაიჭირა.

კახა შალაგზირიძე



მალხაზ ასათიანი

რამდენიმე დღეა, მოსკოვის „ლოკომოტივი“ ფრანგულ ფანრამეში ემზადება საახალსეზონოდ. თური სიომინმა შეკრებაზე სამი ქართველი წაიყვანა: მალხაზ ასათიანი, მიხეილ აშვეთია და რომან ახალკაცი. „ლოკომოტივის“ საფრანგეთში მზადება უფრო იმან განაპირობა, რომ თებერვალში მოსკოველები ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „მონაკოს“ ხვდებიან. სიომინმაც თავის გუნდს ამხანაგურ მატჩებში სათამაშოდ ფრანგული მეტოქეები შეურჩია.
გუშინწინ „ლოკომოტივმა“ წლეულს პირველი მატჩი გამართა მო-

ასათიანი გაპოივანეს, ახალკაცი გაპოაჩინეს

ყვარულ „პერპინიანთან“. რკინიგზელებმა შეხვედრა ძირითადი შემადგენლობით დაიწყეს, თუმცა აქ მოულოდნელობას მაინც წაეაწყვილით: მიხეილ აშვეთიას ნაცვლად სიომინმა აქამდე სათადარიგოდ მოტოვებული მალხაზ ასათიანი ათამაშა.
ასათიანმა მწვრთნელის ნდობა გამართა და 28-ე წუთზე დმიტრი ლოსკოვის პასით ანგარიში გახსნა. ოთხ წუთში რკინიგზელებმა მეორეც გაიტანეს — დმიტრი სოხლოვს პასი კოსტარკელმა უინსტონ პარკსმა დაუფასა. მასპინძლებმა ერთი ვოლი პირველივე ტაიმში გაქვითეს, შესვენების შემდეგ კი ანგარიშიც გაათანაბრეს. ჩვენთვის საინტერესო ამ მატჩში რომან ახალკაცის დებიუტიც იყო. ქუთაისის „ტორპედოდან“ „ლოკომოტივში“ ახლახან გადასული ახალკაცი მოედანზე 68-ე წუთზე გამოჩნდა. ასათიანი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, აშვეთიას კი, როგორც გაიფიქრა, მცირე ტრავმის გამო არ უთამაშა.

კახა შალაგზირიძე



ეფეს პილზენის თასი
B ჯგუფი. II ტური
კაიზერსლაუტერნი 0:1 სპარტაკი

ბელგია
იუპილერლიგა. XVIII ტური
მანჩი 1:0 ბრიუჯი

პორტუგალია
სუპერლიგა. XVIII ტური
ბეირა მარი 2:2 მარიტიშო

იტალია
სერია B. XXIII ტური
ფიორენტინა 2:1 კალიარი

გიო ახელელისათვის
„სპორტული“
მიხეილ პოლიძის
თბილისის რესპალნიციდან გათავისუფლების პირზეა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიას. შეიკრიბა გვარიანი თანხა, რომელსაც მთავრობა ფეხბურთის თავკაცს ელავებოდა.
ეს გათავისუფლება სასიხარულოდ დაურჩება მთავრობასაც, რომელმაც მოთხოვნილი საგადასახადო ფული მიიღო და თავად მერაბ ჟორდანიასაც, რომელიც ციხიდან თავის ძველ კაბინეტს დაუბრუნდება.
ჟორდანიას დატუსაღების ამბავი დაემთხვა წიკაზე ჩაყვანილ, როგორც იქნა გადაწყვეტილ ამბავს, რომ ბოლოს და ბოლოს ნამდვილი, სერიოზული, გამოცდილი და საერთაშორისოდ მიჩნეული მწვრთნელი გვეყოლოდა. აგენტმა თუთუმლუმ კასაბლანკაში მცხოვრები ანრი მიშელი დააინტერესა. ცხადია, იყო ლაპარაკები, რომ პრეზიდენტის დაპატიმრება ამ მართლა საჭირო საქმეს ჩაშლიდა. ოღონდ კი, საქმის ვითარებიდან გამომდინარე (თუმცა, ეს ვითარება ბოლომდე, ალბათ, მხოლოდ ერთეულებმა იციან) მიშელი და თუთუმლუ მაინც ჩამოვიდნენ თბილისში და ასე გამოვიდა, რომ მაროკოულ მზით შერუჯული ფრანგი ღე ფაქტო ჩვენი ნაკრების მწვრთნელია.
ახლა, რასანდა გამოსული მერაბ ჟორდანიას უკვე შეუდგება მუშაობას, მიშელის უკვე ოფიციალურად მოყვანაც პირველი რიგში გადაწყვეტა. ისე კი, მართლაც საინტერესო იყო. ძლივს მივაღწიეთ საჭირო კაცს და ამ დროს კი, ვინც მიადგა, ის ციხეში აღმოჩნდა. ქართული ისტორიაა, ოღონდაც ბოლო მაინც კარგი გამოუჩნდა. საკუთრივ მიშელი კარგი ფეხბურთელი იყო იმ ფრანგულ ნაკრებში, ყველას რომ ცრემლიანად ახსოვს. ზურგს უკან ლამის ოცწლიანი სამწვრთნელო კარიერა აქვს და ხასიათის კაცად და ლალი ფეხბურთის ტრფიალად აღიარებული. ისიც გვახსოვს, ერთი კანტონასთან რომ მოუხდა ამბავი სანაკრებო ვარჯიშზე. სხვაფერე კი, ჩემ, ვითარცა ერთი უბრალო ფეხბურთის მოყვარის გემოვნებით, მისი გუნდები კოხტა და შემოქმედებითა. მომწონს და ბევრსაც მოეწონება, რომ გაიხსენოთ.
ერთი პირადი გემოვნება ისიც მაქვს, რომ მეტად მომწონდა მისი მაროკოს ნაკრები საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე, უფრო მეტად, ვიდრე მისი საფრანგეთის ნაკრები, მექსიკაში რომ ითამაშა.
გრძობით სავსე ფეხბურთი უყვარს და ჩვენს ძველ გულშემოტკივრებს დიდადაც გაახსენებს წლების „დინამოს“, თუკი ჩვენი ახლანდელი ფეხბურთელები იწვრთნენ ისე, როგორც მას დასჭირდება.
მოკლედ, ველოდებით: მი-შელ! მი-შელ!

თქვენ გინდოდათ ქეიფი?! ხიზანმა სუფრას ნიხლი ჰარა



წელიწად 14 მატჩი არ მოეგო „მანჩესტერ სიტის“. ფანებმა კევინ კიგანის ნერვების ჩხრეკა რომ დაიწყეს და ვითარება გაწიწმატდა, მხოლოდ მაშინდა შეძლეს სიტუაციის უიღბლო სერიის შეწყვეტა. გასულ ოთხშაბათს სათასო შეხვედრაში „ლესტერს“ სტუმრად (3:1) სძლიეს და „სიტელთა“ გულშემოტკივრებმაც ამოისუნთქეს. ამდენი ხნის მოუგებელ ფეხბურთელებს გამარჯვება ხომ უნდა „დაესველებინათ“? ლესტერიდან მანჩესტერელთა ავტობუსი წავიდა, მაგრამ გუნდს 5 კაცი დააკლდა: რობი ფაულერი, სტივ მაკმანამანი, ტრევორ სინკლერი, ჯოი ბარტონი და შონ რაიტ-ფილიპსი.

„ვერცხლისფერი BMW რომ დავინახე, საიდანაც უკანმობრუნებული კიგანი გადმოვიდა, გავვოცდი — თქვა სასტუმროს წარმომადგენელმა — არც მიფიქრია, რომ ეს ხუთეული, რომელიც მეორე სართულზე ნებივრობდა, მწვრთნელს დაეძალა. კიგანს ჩემთვის არაფერი უკითხავს, მაგრამ სახეზე სიბრაზის ალმური ასლია.“

მწვრთნელმა ფეხბურთელები წაიყვანა, მოგვიანებით კი მაკმანამანმა თქვა, ეს მხოლოდ გაუგებრობაა და სხვა არაფერი. რას აპირებდა ლესტერში დარჩენილი ხუთეული? თუ ფაულერისა და მაკმანამანის შარშანდელ ლოთიან ლაშქრობას გავიხსენებთ კოლჩესტერელ გოგონასთან (რომელიც მათ საწოლში აბურთავებს), მნელი მოსახვედრი არაა, რომ ბიჭები ალბათ მოლხენის ვარიანტს განიხილავდნენ, მაგრამ კიგანმა არ აცალა. ორიოდ კვირას წინ „მანჩესტერ სიტისიდან“ „პორტსმუთში“ გადასულმა ეივალ ბერკოვიმმა კევინ კიგანზე თქვა, „დიდი ბავშვია“ და ფეხბურთელები თავის ჭკუაზე აბურთავებენო. როგორც ჩანს, „სიტის“ სამხარულო ნაღდად დასალაგებელია, ქეიფის მოსურნეებს ალბათ კლუბის ბოსები ყვითელ-წითელ ბარათებს „აკრავენ“.

მამა ხუციშვილი



ნიკი ბათი ლონდონსა და ნიუბასლს შუა

„ტოტენჰემის“ გულშემოტკივრებმა პირდაპირ მოსთხოვეს კლუბის თავმჯდომარე დენიელ ლუვის, რომ ჯერ კიდევ გლენ ჰოდლისათვის მიცემული პირობა შეასრულოს — დაცვითი ყაიდის ნახევარმცველი იყიდოს. ასეთი ახლა ერთია, „მანჩესტერიდან“ დაძრული, 5 მილიონად შეფასებული ნიკი ბათი. არის კიდევ ერთი, ჩარლტონელი სკოტ პარკერი, რომელსაც „ჩელსი“ უპაჭუნებს თვალს. თუმცა, ლევინ კიდევ რომ გადაწყვიტოს ბათის ყიდვა, შევიპირბო მოუწევს. გუმინდელი გაზეთები უკვე იუწყებოდნენ, რომ ნიკი ბათი შეხვდა „ნიუკასლის“ თავკაც სერ ბობი რობსონს, რომელიც მანჩესტერელს 34 წლის გარი სპიდის საგაიოს შემცვლელად მოიაზრებს, რახან გარი წლის ბოლოს ფეხბურთს თავს ანებებს. მაგრამ სერ ბობი აცხადებს, რომ ტრანსფერები კლუბის საქმეა და თვითონ არასოდეს აწარმოებს მოლაპარაკებებს ფეხბურთელებთან. „ტოტენჰემსა“ და „ნიუკასლს“ მოსდევს „მიდლსბრო“, თუმცა, ამ უკანასკნელს უფრო გაცულა აწყობდა.


ირაკლი ბაგჩრაიძე

პრეზიდენტის ოინებში გლათმერი ქალებს ტრუსებში ჩაშვრა

წამს ბლათმერს სიბერეში სიხლი აუჩქოლდა და მოხუცი აცუნდრუა. კაცების ფეხბურთი ხომ ამენ-დაამშვენა და ახლა ქალებს გადასწვდა. ბლათმერმა ფეხბურთელ ქალებს სათამაშო ფორმა შეურჩია. კაცებით ფართოტოტებიანი ტრუსებით მოედანზე სირბილი თქვენ არ შეგშენით, შემოტმასნილ ტრუსებში (ისე როგორც ფრენბურთში) უნდა გამოიწყოთ, მერე ნახეთ, სტადიონებს თქვენს სანახავად რამდენი ვაჟკაცი მოაწყდება, ქალურ სილამაზეს თუ გამოაჩენთ, უკეთესი იქნებაო. პრეზიდენტმა დასძინა: „მაპატიონ გოგონებმა, რადგან კაცური ფეხბურთი ქალურისგან ხომ განსხვავდება, ისინი უფრო მსუბუქი ბურთით თამაშობენ, ამიტომ ვეფიქრობ, სხვაობა კიდევ უფრო თვალში სა-

ცემი რომ გახდეს, მათი ფორმების შეცვლა ურიგო იდეა არაა“. ბლათმერის ნალაქლაქარი ფეხბურთელმა გოგონებმა, ცხადია, შეიტყვეს და საჭორაო თემაც გაუჩნდათ. ინგლისის ნაკრების მეკარე პოლინ კოუმპმა თქვა: „ის (პრეზიდენტი) გაგებაში არ არის, რაზე ლაპარაკობს. ჯერ ერთი, ჩვენ ისეთივე წონის ბურთი ვთამაშობთ, როგორც ბიჭები, რაც შეეხება შემოტმასნილ ტრუსებს, უკაცრავად, მაგრამ სულელური იდეაა“. კოუმპის ნორვეგიელი კოლეგა ლიზ კლავენსენი: „ჩვენ სპორტსმენები ვართ და საქმეს პრაქტიკულად უნდა მივუდგეთ. კაცები მხოლოდ ჩვენი ფეხბურთის სანახავად თუ მოდიან სტადიონზე და ფეხბურთი არ ადარდებთ, მაშინ „პლეიბოი“ შეიძინონ და შინ დაათვალიერონ“.

მამა ხუციშვილი



ასე შემოსილი ქალ ფეხბურთელთა ხილვა სურს ფიფას პრეზიდენტს?



რიო თმას ინფორმის

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველმა, ამასწინათ ერთობ ხმაურით დასჯილმა რიო ფერდინანდმა თავის დასაცავად ახალ მეთოდს მიმართა: მას სურს შეუმოწმონ თმა, რათა დამტკიცდეს, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მედიკამენტს არ გაჰკარებდა. ფეხბურთელის ამ სურვილს, ბუნებრივია, ხმას უერთებენ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ვექლეტი, მაგრამ რამდენადაც ცნობილია, ფეხბურთის ასოციაცია ვარსკვლავის თმის ანალიზზე უარს აცხადებს. გავიხსენოთ: რიო ფერდინანდი 23 სექტემბერს დოპინგ-ტესტზე არ მივიდა, რის გამოც რვათვიანი დისკვალიფიკაცია მიუსჯა. დისკვალიფიკაციის ვადა მომავალი სამშაბათიდან უნდა ათავალოს, თუმცა აპელაციის შემთხვევაში ათვლის სასტარტო დღე გადაიდება. შეგახსენებთ იმასაც, რომ ფერდინანდი აქცენტს გულმავიწყობაზე აკეთებს, ანუ მისი განცხადებით, მართალია, დოპინგ ტესტი გაცდინა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ წამლის კვალს მაღადა, იმიტომ, რომ დაავიწყდა და მეტი არაფერი. თავის მხრივ, ფეხბურთის ასოციაცია აცხადებს, რომ მართალია, დოპინგ-ტესტი არ შედგა და ამ მხრივ

მდგომარეობის ადეკვატური დასკვნა არ არსებობს. მაგრამ ის, რაც ფერდინანდს გასამართლებელ საბუთად მოაქვს, ზვირთან საბუთად ვერ ჩაითვლება, ვერდიქტის გამოტანა საბუთის ორ წევრს ეჭვი არ ეპარება, რომ ფეხბურთელმა კარგად იცოდა „მანჩესტერ სიტის“ მოთამაშის, კრისტან ნევიუსის შემთხვევა და სასჯელი (ეს მოთამაშე მხოლოდ 2 ათასი გირვანქით დაავადრმეს), რის გამოც თავისი ამბავი ზუსტად ისე გაითამაშა. „ტესტის გაცდენა ისეთივე ცუდი საქციელია, როგორც დოპინგის ხმარება, ამიტომ ფერდინანდის თმის ანალიზი არაფერ შუაშია, იგი სულ სხვა რამის გამო დასაჯეს“ — განაცხადა ფეხბურთის ასოციაციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა სხვა საქმეა, რომ რიო ფერდინანდის შემთხვევამ დოპინგის ტესტირების სისტემაში ბევრი ხარვეზი გამოაშკარადა და ღღეს მათ აღმოფხვრავს. უფრო სწორად კი მთლიანად სისტემის რეკონსტრუქციაზე ფიქრობენ და ლაპარაკობენ, მაგალითად, არის მოსაზრება, რომ ანტი-დოპინგური სტრუქტურა საერთოდ დამოუკიდებელი ორგანიზაცია უნდა იყოს.

ბაბუნა კვიციანი



ეპროპა ჩვენსკენ მოინებს

პოლანდია-ბელგიაში ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის გამართვის შემდეგ მსოფლიოს პირველობას ერთად კორეა-იაპონიამ უმასპინძლებს. ფიფა-უეფა თითქოს შეთანხმდნენ, რომ ამერიკიდან მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატები მხოლოდ ერთ ქვეყანაში გაიმართებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, არაერთი მცდელობა დიდი შეჯიბრებების ერთობლივად ჩატარებისა. ამჟამად ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი წყვილად გამოთქვა რუმინეთმა და უნგრეთმა. რუმინეთს ფედერაციის პრეზიდენტი მიჩა სანდუს მიაჩნია, რომ უფრო მრავალწლიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონატის აღმოსავლეთ ევროპაში გამართვას იკისრებს აღსანიშნავია, რომ რუმინეთ-უნგრეთის წყვილს მეტოქე უკრაინა-პოლონეთის სახით გამოუჩნდა და ამასთან, ევრო 2012 მასპინძლობის სურვილი რუსეთმაც გამოთქვა.

მამა ხუციშვილი

მიუნხენის „ბაიერნი“ სა-
წვრთნელ შერჩევას გა-
ნაგრძობს. ყველაზე
ტიტულოვანი გე-
რმანული კლუბი
ამჯერად დუბაი-
ში იმყოფება. ამ
დროს კი ოტმარ
ჰიცფელდი რევო-
ლუციურ ცვლი-
ლებებს გეგმავს.
ახალი სეზონიდან
„ბაიერნის“ სათა-
მაშო სქემა მნი-
შვნელოვნად შეი-
ცვლება და ნაცვ-
ლად 4-4-2-ისა 4-3-1-2
გახდება



აბეს ნორვეგია კარეუ ჩამოსვლა

ნორვეგიელი იონ კარეუ ნა-
კრების ყოფილმა მწვრთნელმა ნილს
იოჰან სემბმა გასული წლის სექ-
ტემბერში ეროვნული გუნდიდან გა-
აძევა. მაშინ ვარჯიშზე კარეუსა და
მის სენია არნე რიისეს შორის
აყალბაყალი აღყდა. მოწმედნები
დროულად გააშველეს, მაგრამ სა-
ქმე სემბმა მოგვიანებით გააჩნია.
მან კარეუ დაადანაშაულა, ამხელა
კაცი ხარ, ბავშვებს რად ჩავრავო.
გაძევებულს უკან დასაბრუნე-
ბლად ზეწნით ყელიც არ გამოუ-
ღადრავს და არც მუხლები გადა-
ულღეტიდა.
„რომას“ ფეხბურთელის ერო-
ვნულ გუნდში დასაბრუნებლად ოქ-
ტომბრის ბოლოს ერთმა ვახეთმა
გამოკითხვა მოაწყო. რესპონდენტთა
უმრავლესობამ რომელი ლეგიონ-
ერის დაბრუნება მოითხოვა, მა-
გრამ სემბს ყურიც არ შეუბე-
რტყავს. ნოემბერში „ვიკინგებს“ ეს-
პანელებთან ევრო 2004-ის პლეი
ოფი ელოდათ და თავდამსხმელი
ნაღდად სჭირდებოდათ, თუმც
ძველმა მწვრთნელმა კარეუს სამ-
სახურზე უარი თქვა.
ესპანელებმა ნორვეგიას სძლიეს
და ნილს იოჰან სემბის ბატონობა
დამთავრდა. ნაკრები „რუსენბო-

რგის“ თავკაცმა აგე ჰარეიდემ
ჩაიბარა და მსოფლიოს 2006 წლის
შესარჩევ ტურნირში გუნდს იგი
გაუძღვება. ჰარეიდემ კარეუ გაიხ-
სენა და რომში თავად ეწვია. „გა-
ძევებული“ ფეხბურთელი, ცხადია,
ახალ მწვრთნელს ნაკრებში დაბ-
რუნებაზე დაყაბულდა და იგი
კვლავ გაეციინებდა.

ვაჟა ხუციშვილი



იონ კარეუ

ჰიცფელდი აბრეისიას ირჩევს ბალაკს თავისუფლება უბოძებს

ახალ სქემაში განსაკუთრე-
ბულ დატვირთვას შეიძენს მიხა-
ელ ბალაკი. ის საყრდენის პოზი-
ციებიდან წინ წაიწევს. მას მაკაი-
სა და პიზაროს უკან მოუწევს თა-
მაში და მეტი იმპროვიზაციის სა-
შუალებაც ექნება. „ეს ტაქტიკა „ბა-
იერნს“ მეტ აგრესიულობას შემა-
ტებს. სამი ნახევარმცველი ბალაკს
სამოქმედო არეალს გაუთავისუ-
ფლებს. ჩემს განკარგულებაში ვა-
რსკვლავები არიან და ეს მხოლოდ
წინა ხაზის ფეხბურთელებზე არ

ითქმის, ვარსკვლავები „ბაიერნს“
ნახევარდაცვაშიც მრავლად ჰყავს.
ჩვენი გუნდი ახალ სეზონში მთა-
ვარს, აგრესიას დაიბრუნებს“ —
განაცხადა ოტმარ ჰიცფელდმა.
ბალაკზე მორგებული სათამაშო
ტაქტიკით კმაყოფილია ბუნდესნა-
კრების მთავარი მწვრთნელი რუ-
დი ფილერი: „ბალაკი ნაკრების-
თვისაც ერთ-ერთი მთავარი ფიგუ-
რაა და მის როლს სწორედ იმ
ამპლუაში ვხედავ, რომელიც გუნ-
დში ამჟამად გამოუნახეს“.

აგრესიულობა „ბაიერნს“ რო-
გორც ბუნდესლიგაში, ასევე ჩემ-
პიონთა ლიგაში მადრიდის „რეა-
ლის“ წინააღმდეგ მატჩებშიც დიდ
სამსახურს გაუწევს.
კარლ-ჰაინც რუმენიგეც აღფრ-
თოვანებულია ახალი მიგნებით: „ზე-
რობერტოს და დაისლერს ფლან-
გებზე სასწაულების მოხდენა შე-
უძლიათ, ბალაკი კი ფორვარდე-
ბთან ერთად ისევ დაიწყებს გო-
ლების გატანას“.

დავით მარაძე

კლოზემ მუსიკოსობა შესთავაზეს




„კაიზერსლაუტერნის“
25 წლის ფორვარდ
მიროსლავ კლოზეზე
ბუნდესლიგაში
ნამდვილი ნადირობა
გაჩაღდა. მისი ხელში
ჩაგდება ერთბაშად
რამდენიმე კლუბს
სურს, თუმცა,
როგორც ჩანს,
ყველაზე დროულად
თადარიგი ბრემენის
„ვერდერმა“ დაიჭირა.

დავით მარაძე

ბრემენელთა მთავარი მწვრთნელი თომას შა-
აფი კლოზეს შესაძლო გამოუსიკოსებას კომენტარს
უკეთებს: „მირი ჩემი ოცნების ფეხბურთელის აბსო-
ლუტური ეტალონია, მისი სწორი გამოყენებით „ვე-
რდერი“ უძლიერეს დამრტყმელ ძალას შეიძენს“.

როგორც გერმანული საინფორმაციო წყაროები იუწყე-
ბიან, ბრემენელთა მენეჯერი კლაუს ალოფსი უკვე შეეხ-
მიანა თურქეთის ქალაქ ბელეკში მყოფ „კაიზერსლაუტერ-
ნის“ ხელმძღვანელობას და თავად ფეხბურთელსაც, რის
შემდეგაც საკმაოდ იმედიანი განცხადებაც გააკეთა: „მთავა-

რია, მოლაპარაკებები დაიწყო, მოუხდავად იმისა, რომ
ჩვენ არცთუ დიდი დრო დაგვრჩა ფეხბურთელისა და
გუნდის შესათამაშებლად, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ.
კლოზე იმ დონის ფეხბურთელია, რომელსაც სამი-ოთხი
თამაში სავსებით ეყოფა ჩვენს ანსამბლში ჩასაწერად“.



ჩემი სიფათი გნებავთ? გადანისადეთ!

ბერმანიაში კომპიუტერის ეკრანთან ფეხბურთის მოთამაშეებს ალბათ,
ერთი თამაში, FIFA-2002 მოაკლდებათ. ეს გასართობი მსოფლიოს 2002 წლის
ჩემპიონატის შემდეგ შეიქმნა და მასში არაერთი ფეხბურთელის სახეა გამოყე-
ნებული. მათ შორისაა გერმანელი ოლივერ კანი, რომელმაც FIFA-2002-ის
თამაშში საკუთარი სიფათის აღმოჩენის შემდეგ სასამართლოში იჩივლა.
ჰამბურგის სასამართლომ მეკარის სარჩელი განიხილა და დაადგინა, რომ
კომპანია EA SPORT-მა ამ გასართობის გამოშვება უნდა შეწყვიტოს, რადგან
ოლივერ კანს თავისი სახის გამოყენების უფლება კომპანიისთვის არ მიუცია.
ალსანიშნავია, რომ EA SPORT-მა კომპიუტერული თამაშის შექმნის
უფლება ფიფასგან აიღო, ფიფელებს კი თავის მხრივ ფეხბურთელები-
სგან ნებართვა არ უთხოვია.
ექსპერტებმა დაადგინეს, რომ FIFA-2002-ის გაყიდვით EA SPORT-
მა დაახლოებით 250 მილიონი ევრო მოიხვეჭა და ალბათ, ამ ფულიდან
კომპანიას კანისთვის კომპენსაციის გადახდა მოუწევს.

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი პლაკი	
ევროპა. V ჯგუფის ააღენდარი	
იტალია, სლოვენია, შოტლანდია, ნორვეგია, ბელარუსი, მოლდოვა	
2004	
4 სექტემბერი	
იტალია — ნორვეგია	
სლოვენია — მოლდოვა	
8 სექტემბერი	
მოლდოვა — იტალია	
შოტლანდია — სლოვენია	
ნორვეგია — ბელარუსი	
9 ოქტომბერი	
ბელარუსი — მოლდოვა	
შოტლანდია — ნორვეგია	
სლოვენია — იტალია	
13 ოქტომბერი	
იტალია — ბელარუსი	
მოლდოვა — შოტლანდია	
ნორვეგია — სლოვენია	
2005	
26 მარტი	
იტალია — შოტლანდია	
30 მარტი	
მოლდოვა — ნორვეგია	
სლოვენია — ბელარუსი	
4 ივნისი	
ბელარუსი — სლოვენია	
ნორვეგია — იტალია	
შოტლანდია — მოლდოვა	
8 ივნისი	
ბელარუსი — შოტლანდია	
3 სექტემბერი	
მოლდოვა — ბელარუსი	
შოტლანდია — იტალია	
სლოვენია — ნორვეგია	
7 სექტემბერი	
ბელარუსი — იტალია	
მოლდოვა — სლოვენია	
ნორვეგია — შოტლანდია	
8 ოქტომბერი	
იტალია — სლოვენია	
ნორვეგია — მოლდოვა	
შოტლანდია — ბელარუსი	
12 ოქტომბერი	
ბელარუსი — ნორვეგია	
იტალია — მოლდოვა	
სლოვენია — შოტლანდია	



საპარტოვლოს თასი. პირველი ეტაპი. რუსთავი 16-21 იანვარი

16 იანვარი. რუსთავი

ლინაო 93:82 სტუ

23:28 17:27 28:9 25:18
ლინაო: ფენტი (23), ტულუში (12), ბე...

ბასკო 103:64 სსუ

27:19 22:18 26:12 28:15
ბასკო: დ. ბერიშვილი (14), ბ. ბერიშ...

რუსთავი 86:76 თსუ

18:19 23:19 14:22 31:16
რუსთავი: გაბისონია (2), აბრამიძე (6),...

ტექნიკური რუნი სტუ-ჯაოსელმა ნერგები ვერ აპრიფა

საქართველოს თასის მე-2 გა-
თამაშება გუშინ რუსთავში ხმაუ-
რინად დაიწყო. პირველივე მა-

და შეცდო, უმტკიცებდა. იქით ტე-
ქნიკოსთა თავკაცი ნუგზარ ჭეიშ-
ვილი წამოღდა და ბრაიკოვიჩს რე-

ნტი თამაშის ერთგვარ „წყალგა-
მყოფად“ მივიჩნიოთ. მანამდე „სტუ-
ჯეოსელი“ ჯაბინდა „დინამოს“, შე-



ზვიად ბაბიაშვილი და მისი „სტუჯეოსელი“ ბოლომდე ვერ გასწვდნენ „დინამოს“



გინება და გაწვევამოწვევა, რა თქმა უნდა, არ აყლდა თასის პირველ ტურს

ევროლიგა პირველი ჯგუფური ეტაპი. IX ტური. 14-15 იანვარი

Table with 3 columns (A, B, C ჯგუფი) and rows of team names and scores. Includes teams like ციხონა, სპიკარი, ვილარბანი, etc.

NBA რეზულტატი ჩემპიონატი
15 იანვარი
პორტლანდი 95:105 ფინიქსი
პორტლანდი: სტეფენი (11 წუთი, 4 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი)

Table with 2 columns: აღმოსავლეთი and დასავლეთი. Rows list player names and statistics like points, rebounds, assists.

ნაირნაირი გუსეები



ბრიუსელში ხალისია: „ანდერლუხტის“ სპილოს ძვლის ნაპირული არუნა დინდანე თავის თქროს ბუცს აწვევებს ბელგიის მეფე ალბერ II-ს. თქროს ბუცი ბელგიის წლის საუკეთესო ფეხბურთელს გადაეცემა ხოლმე. ამასობაში კი ავსტრალიელი დიზაინერი კრეივ ჯონსტონი „ლორად“ წოდებულ მის მიერ შექმნილ ბუცს შეჰხარის. „ლორი“ ამ ბუცს უხეში ზედაპირის გამო შეერქვა. თავად ჯონსტონი კი ახალგაზრდობაში კაი მაგარი ნახევარმცველი იყო და მს-იანი წლების დიდ „ლივერპულთან“ ერთად იგებდა ტიტულებსა და ევროპის თასებს.



Leap for
ეროვნული
London

REUTERS ლონდონიდან


პირველი განაცხადი

ბრიტანეთის დედაქალაქს სურს, 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადას უმასპინძლოს და ცენტრალურ ლონდონში უკვე განჩნდა პირველი პლაკატი. საოლიმპიადო სარეკლამო კამპანია სწორედ დღეიდან იწყება.



გაუბედა

მელბურნის ტურნირზე, რომელიც დიდი სლეუმის გამსხსნელ ავსტრალიის ღია პირველობას უძღვის, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ენდი როდიკმა სამ სეტში წააგო არგენტინელ დავიდ ნალბანდიანთან. ენდის ამ თამაშში ჩოგანიც კი გაუტყდა, ნალბანდიანი კი ფინალში ანდრე აგასის შეხვდება. ასე რომ, ტომით სამხური ფინალი გამოვიდა.



REUTERS მელბურნიდან



ჩირაღდნის გზა

თქვენს წინაშეა იმ ქალაქების სიის ნაწილი, სადაც ათენში შესვლამდე გაივლის ოლიმპიური ცეცხლი. ჩირაღდანი 25 მარტს ძველი ოლიმპიდან დაიძრება, 78 დღეში 27 ქვეყანას შემოვივლის და მას 11 300 კაცი გადასცემს ერთმანეთს.

REUTERS ათენიდან

სარბიელი
საორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოცემის ორგანიზაცია,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევის და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ბიორბი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კობორიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერასე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ანჯელიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანიანი, გიორგი ვაშაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი - 79, საზოგადოებრივი
ყაბუზი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarblieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarblieli.com.ge>